ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის

განსაკუთრებული ნიჭის მქონე ახალგაზრდებისა და ბავშვთა ფინანსური ხელშეწყობის პროგრამის უზრუნველყოფის კომისია

სხდომის ოქმი №6

ზუგდიდი

21.09. 2021 წელი

2021 წლის 21 სექტემბერს ჩატარდა ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის განსაკუთრებული ნიჭის მქონე ახალგაზრდებისა და ბავშვთა ფინანსური ხელშეწყობის პროგრამის უზრუნველყოფის (2021 წლის 20.05 ბრძ.№24. 242114019) კომისიის სხდომა.

სხდომას ესწრებოდნენ:

- **კონსტანტინე კაკავა**-ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერის დროებითი მოვალეობის შემსრულებელი- კომისიის თავმჯდომარე.
- **ზამირა ღადუა** –ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის II რანგის პირველადი სტრუქტურული ერთეულის განათლების, ძეგლთა დაცვის, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსის მოადგილე - კომისიის თავჯდომარის მოადგილე.

კომისიის წევრები:

- **კობა ჯიქია**- ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის I რანგის პირველადი სტრუქტურული ერთეულის განათლების, ძეგლთა დაცვის, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსი - კომისიის წევრი.
- **მაია ჩიტაია** -–ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის II რანგის პირველადი სტრუქტურული ერთეულის განათლების, ძეგლთა დაცვის, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის უფროსის მოადგილე- კომისიის წევრი.
- **გიგლა სულამანიძე**-ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის II რანგის მეორადი სტრუქტურული ერთეულის-განათლების, ძეგლთა დაცვის, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის განათლების განყოფილების უფროსი - კომისიის წევრი.

- **ზაზა გაბისონია**- ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის III რანგის I კატეგორიის განათლების, ძეგლთა დაცვის, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის განათლების განყოფილების უფროსი სპეციალისტი - კომისიის წევრი.

- **ლექსო თოდუა**- ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის I რანგის პირველადი სტრუქტურული ერთეულის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი - კომისიის წევრი.

- **ია ეხვაია**- ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის II რანგის მეორადი სტრუქტურული ერთეულის-სოციალურის და ჯანდაცვის სამსახურის ბავშვთა უფლებების დაცვის და მხარდაჭერის განყოფილების უფროსი- კომისიის წევრი.

- **მონიკა შამათავა** - ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის III რანგის I კატეგორიის ადმინისტრაციული სამსახურის იურიდიული განყოფილების უფროსი სპეციალისტი - კომისიის წევრი.

- **ხათუნა დარასელია**-ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის II რანგის მეორადი სტრუქტურული ერთეულის-განათლების, ძეგლთა დაცვის,კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის კულტურის განყოფილების უფროსი- კომისიის წევრი.

- **ოთარ ქადარია**--ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე- კომისიის წევრი.

- **ნინო სიჭინავა**- ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის II რანგის მეორადი სტრუქტურული ერთეულის-განათლების, ძეგლთა დაცვის, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა განყოფილების უფროსი - კომისიის წევრი.

კომისიის სხდომას საპატიო მიზეზით არ ესწრებოდა კომისიის რვა წევრი.

- **ნატალია პაპასკირი**- ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსი - კომისიის წევრი.

- **თამუნა ჯიქია** -ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს „ქართული ოცნება დემოკრატიული საქართველოს“ ფრაქციის თავჯდომარე - კომისიის წევრი.

- **დავით შამათავა** - სსიპ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მოსწავლე-ახალგაზრდობის განვითარების სასახლის დირექტორი - კომისიის წევრი.

- **ნანი მიქენაია** - ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის II რანგის პირველადი სტრუქტურული ერთეულის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსის მოადგილე - კომისიის წევრი.

- **ფრიდონ თოდუა** -ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის II რანგის პირველადი სტრუქტურული ერთეულის სამხედრო აღრიცხვის, გაწვევისა და მობილიზაციის სამსახურის უფროსის მოადგილე - კომისიის წევრი.

- **ირუზა კაკავა**- ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი- კომისიის წევრი.

- **ბათლომე შელია** - ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს „ევროპული საქართველოს" ფრაქციის თავმჯდომარე- კომისიის წევრი.

- **ეკატერინე კიფაია** -ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლების, კულტურისა და გენდერული თანასწორობის კომისიის თავმჯდომარე- კომისიის წევრი.

კომისიის წევრთა ნაწილი, შეხვედრას zoom პროგრამის მეშვეობით ესწრებოდა.

ბელა ხუბუა- ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის III რანგის II კატეგორიის განათლების, ძეგლთა დაცვის, კულტურის, სპორტის და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის განათლების განყოფილების უფროსი სპეციალისტი- კომისიის მდივანი.

სხდომის თავმჯდომარე : კონსტანტინე კაკავა

დღის წესრიგი:

1. <u>მისალმება</u>
2. <u>კომისიის წევრებისთვის განცხადებების გაცნობა და მოკლე ინფორმაცია განმცხადებლის შესახებ.</u>

1. განსახილველად შემოგვაქვს კოლხეთის ადმინისტრაციულ ერთეულში მცხოვრები ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკისა და ბიზნესის საბაკალავრო პროგრამის კურსდამთავრებული გიორგი მამფორიას

განცხადება. ამჟამად გიორგი ჩარიცხულია ვენის ეკონომიკისა და ბიზნესის უნივერსიტეტში ეკონომიკის სამაგისტრო პროგრამაზე. გიორგი ითხოვს უცხოეთში სწავლის ფინანსურ ხელშეწყობას.

2.განსახილველად შემოგვაქვს ეგრისის ადმინისტრაციულ ერთეულში მცხოვრები ელენე ქარდავას განცხადება. 2020 წელს ელენემ სკოლა დაამთავრა ოქროს მედალზე და ჩაირიცხა საფრანგეთში, სტრასბურგის უნივერსიტეტში მათემატიკისა და კომპიუტერული მეცნიერებების ფაკულტეტზე. ელენე ითხოვს უცხოეთში სწავლის ფინანსურ ხელშეწყობას.

3.განსახილველად შემოგვაქვს ენგურის ადმინისტრაციულ ერთეულში მცხოვრები ნინო ფარჯიკიას განცხადება. 2019 წელს ნინომ დაამთავრა ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებისა და ხელოვნების ფაკულტეტი, სოციოლოგიის მიმართულება. მიმდინარე წელს ჩაირიცხა საფრანგეთში პარიზის უნივერსიტეტში სამაგისტრო პროგრამაზე. ნინო ითხოვს უცხოეთში სწავლის ფინანსურ ხელშეწყობას.

4.განსახილველად შემოგვაქვს ახალაბასთუმნის ადმინისტრაციულ ერთეულში მცხოვრები, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პოლიტიკის მეცნიერებების კურსდამთავრებულის ანა თოდუას განცხადება. მიმდინარე წელს ანა ჩაირიცხა ვენის უნივერსიტეტში პოლიტიკური მეცნიერების სამაგისტრო პროგრამაზე. ანა ითხოვს უცხოეთში სწავლის ფინანსურ ხელშეწყობას.

5. განსახილველად შემოგვაქვს ჭაქვინჯის ადმინისტრაციულ ერთეულში მცხოვრები ილონა ჩუხუას განცხადება. ილონამ წითელ დიპლომზე დაამთავრა შავი ზღვის საერთაშორისო უნივერსიტეტის საერთაშორისო ურთიერთობების პროგრამა. ამ ეტაპზე შერჩეულია ევროპის სოლიდარობის კორპუსის ფარგლებში ერთ-ერთ პროექტში „shuman volunteers" რომელიც განხორციელდება პოლონეთში. ილონა ითხოვს მგზავრობის ხარჯების დაფინანსებას.

6.განსახილველად შემოგვაქვს კახათის ადმინისტრაციულ ერთეულში მცხოვრები ილია ვართაგავას განცხადება. 2020 წელს ილია ჩაირიცხა უკრაინაში, ზაპოროჟიეს ეკონომიკისა და ინფორმაციული ტექნოლოგიების ინსტიტუტში, საინჟინრო ფაკულტეტის კომპიუტერული ინჟინერიის სპეციალობაზე. ილია ითხოვს უცხოეთში სწავლის ფინანსურ ხელშეწყობას.

7. განსაკუთრებული ნიჭის მქონე ახალგაზრდებისა და ბავშვთა ფინანსური ხელშეწყობის პროგრამის განხორციელების წესში ცვლილების შეტანის შესახებ.

სხდომის თავმჯდომარემ სხდომა გახსნილად გამოაცხადა

მოისმინეს:

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, ძეგლთა დაცვის, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამსახურის განათლების განყოფილების უფროსმა გიგლა სულამანიძემ კომისიას გააცნო შემოსული განცხადებები.

აზრი გამოთქვა:

კონსტანტინე კაკავა- ერთ-ერთი კომისია, რომელიც ნიჭიერი და წარმატებული ახლაგაზრდებისთვის მუდმივად დადებით გადაწყვეტილებებს იღებს და ხელს უწყობს მათ განვითარებას, რასაც მივესალმები.

ზამირა ღადუა- ეს პროგრამა ხელს უწყობს ნიჭიერი ახალგაზრდების განვითარებას. ჩვენი კომისიის შეკრების მიზეზიც არის ნიჭიერი ახალგაზრდების ხელშეწყობა და მუნიციპალიტეტის მხარდაჭერა. დღევანდელი დღის წესრიგით დავაფინანსეთ 5 ახალგაზრდა, რომლებიც მაგისტრატურის პროგრამას გაივლიან უცხოეთის პრესტიჟულ უმაღლეს სასწავლებლებში. ისინი არიან მერის სტიპენდიანტები, სკოლის ოქროს მედალოსნები. მეამაყება თითოეული მათგანი და ვუსურვებ წარმატებებს.

გიგლა სულამანიძე- რაც უფრო მეტ ახალგაზრდას შეუწყობთ ხელს, მით მეტად მივცემთ სტიმულს უფრო მეტი გააკეთონ, რასაც მივესალმები. რაც შეეხება ილია ვართაგავას განცხადებას, ამ ეტაპზე ვერ მიიღებს დაფინანსებას.

დაადგინეს:

- **ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის განსაკუთრებული ნიჭის მქონე ახალგაზრდებისა და ბავშვთა ფინანსური ხელშეწყობის პროგრამის უზრუნველყოფის მიზნით შექმნილი კომისიის წევრების გადაწყვეტილებით:**

1. გიორგი მამფორიას გაეწიოს ერთჯერადი ფულადი მხარდაჭერა 3000 ლარის ოდენობით.

2. ელენე ქარდავას გაეწიოს ერთჯერადი ფულადი მხარდაჭერა 3000 ლარის ოდენობით.
3. ნინო ფარჯიკიას გაეწიოს ერთეჯერადი ფულადი მხარდაჭერა 3000 ლარის ოდენობით.
4. ანა თოდუას გაეწიოს ერთჯერადი ფულადი მხარდაჭერა 1500 ლარის ოდენობით.
5. ილონა ჩუხუას გაეწიოს მგზავრობის ხარჯის ასანაზღაურებლად ერთეჯერადი ფულადი მხარდაჭერა 1000 ლარის ოდენობით.
6. დაფინანსება ვერ მოიპოვა ილია ვართაგავამ. განსაკუთრებული ნიჭის მქონე ახალგაზრდებისა და ბავშვთა ფინანსური ხელშეწყობის პროგრამის განხორციელების წესის მე-6 მუხლის მე-3 პუნქტის დ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დოკუმენტაციის არ ქონის გამო კომისიის გადაწყვეტილებით არ დაკმაყოფილდა ილია ვართაგავას განცხადება.
7. განსაკუთრებული ნიჭის მქონე ახალგაზრდებისა და ბავშვთა ფინანსური ხელშეწყობის პროგრამის განხორციელების წესში ცვლილების შეტანის შესახებ.

მომხსენებელი: კონსტანტინე კაკავა

კონსტანტინე კაკავამ აღნიშნა, რომ მუნიციპალიტეტი უნდა ზრუნავდეს ყველა განსაკუთრებულად ნიჭიერ ახალგაზრდაზე, ამიტომ, ის ვინც აკმაყოფილებს დებულების კრიტერიუმებს, უნდა გაიცეს სტიპენდია, რისთვისაც გთავაზობთ ცვლილების შეტანას.

ზამირა ღადუა- აღნიშნული პროგრამა ხელმისაწვდომი გახდა უფრო მეტად ბოლო ორი წლის განმავლობაში. რაც დასტურდება განმცხადებელთა რაოდენობის ზრდით. ვთვლი, რომ ხელი შევუწყოთ მათ ვინც ყველა მოთხოვნას აკმაყოფილებს. ამისათვის საჭიროა წესში შევიდეს ცვლილება და ზღვრული რაოდენობა იქნეს ამოღებული.

კობა ჯიქია- მიმაჩნია, რომ სტუდენტებზე გაცემული სტიპენდია არის ინვესტიცია რომელიც უკუკავშირს ჰპოვებს, რაც ჩვენი ქალაქის, ქვეყნის უკეთესი მომავლის გარანტია და საჭიროა წესში შევიდეს შესაბამისი ცვლილება.

დაადგინეს:

მიზანშეწონილად მიგვაჩნია განსაკუთრებული ნიჭის მქონე ახალგაზრდებისა და ბავშვთა ფინანსური ხელშეწყობის პროგრამის განხორციელების წესის მე-4 მუხლში შევიდეს ცვლილება. კერძოდ, მე-4 მუხლიდან ამოღებულ იქნას მე-7 პუნქტი, რომლითაც დაწესებულია სასტიპენდიო პროგრამით მოსარგებლეთა ზღვრული ოდენობა.

კომისიის თავმჯდომარე: კონსტანტინე კაკავა

კომისიის თავმჯდომარის მოადგილე: ზამირა დადუა

წევრები: კობა ჯიქია

გიგლა სულამანიძე

მონიკა შამათავა

ბელა ხუბუა

მდივანი:

21.09.2021 წელი